პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 შაბათი 29 მაისი № 125 (16555) ფასი 2 კაპ. 1976

ყველანი—სათიბავ!

დღეს და ხვალ — 29-30 მაისს საქართველოს სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტის მუშები, სამინისტროებისა და უწყებების მოსამსახურეები, კულტურისა და მეცნიერების მუშაკები, მოსწავლე-წავლე ახალგაზრდობა, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა ძალოვანთა-ვად გავლენ საზოგადოებრივი მეცხოველეობისთვის საჭირო სამზადისებლად.

მეათე ხუთწლედის პირველი წელი გარდატეხის წელი უნდა გახდეს სრულფასოვანი საკვებით მეცხოველეობის უზრუნველყოფის საქმეში.

მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ატომურ აფეთქებათა შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულება

მოსკოვი. კრემლი. 28 მაისი. 1976. კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულების ხელმოწერის დროს. საბჭოს-ხაქენეშერის ტელეფოტო.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, ქვემოთ მხარეებად მოხსენებულნი,

ხურთ შეახრულონ ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულების III მუხლი, რომელიც ითვალისწინებს რაც შეიძლება მალე დადოს შეთანხმება მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ატომურ აფეთქებათა შესახებ,

კვლავ ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას ატომსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების, ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებისა და ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდების შეზღუდვის ხელშეკრულების მიზნებისა და პრინციპებისადმი და თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას განუხრელად დაიცვან ამ ხელშეშორახო შეთანხმებათა დებულებანი,

ხურთ უზრუნველყონ, რომ მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ატომურ აფეთქებებს არ იყენებდნენ ატომურ იარაღთან დაკავშირებული მიზნებისათვის,

ხურთ, რომ ატომური ენერგიის გამოყენება ისახავდეს მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს,

ხურთ ჯეროვნად განავითარონ თანამშრომლობა მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ატომურ აფეთქებათა დარგში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი I

1. მხარეები დებენ ამ ხელშეკრულებას, რათა შეასრულონ ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულების III მუხლით ნაკისრი ვალდებულებანი, და კისრულობენ დამატებითს ვალდებულებებს ამ ხელშეკრულების დებულებათა შესახებ.

2. ეს ხელშეკრულება აწესრიგებს მშვიდობიანი მიზნით ყველა მიწისქვეშა ატომურ აფეთქებას, რომლებსაც მხარეები მოაწყობენ 1976 წლის 31 მარტის შემდეგ.

მუხლი II

ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის:

A) „აფეთქება“ ნიშნავს ნებისმიერ ცალკე ან ჯგუფურ მიწისქვეშა ატომურ აფეთქებას მშვიდობიანი მიზნით;

B) „ასაფეთქებელი მოწყობილობა“ ნიშნავს ყოველგვარ მოწყობილობას, მექანიზმს თუ სისტემას, რომელიც გათვალისწინებულია ცალკეული აფეთქებისათვის;

C) „ჯგუფური აფეთქება“ ნიშნავს ორ ან მეტ ცალკე აფეთქებას, რომლებისთვისაც თანმიმდევრულ ცალკე აფეთქებათა შორის დროის ინტერვალი არ აღემატება ხუთ წამს და რომლებისთვისაც ყველა ასაფეთქებელი მოწყობილობის ჩადების წერტილები შეიძლება ერთმანეთთან დაკავშირებული იყოს სწორი ხაზების მონაკვეთებით, რომელთაგან თვითეული აკავშირებს ჩადების ორ წერტილს და რომელთაგან თვითეული არ აღემატება 40 კილომეტრს.

მუხლი III

1. თვითეული მხარე ამ ხელშეკრულებით და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისას იტოვებს უფლებას:

A) მოაწყოს აფეთქებანი ნებისმიერ ადგილას, რომელიც ეკვემდებარება მის იურისდიქციასა თუ კონტროლს, ატომური იარაღის აკრძალვის ხელშეკრულების, ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებისა და ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდების შეზღუდვის ხელშეკრულების მიზნებისა და პრინციპებისადმი და თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას განუხრელად დაიცვან ამ ხელშეშორახო შეთანხმებათა დებულებანი,

B) მოაწყოს, მონაწილეობა მიიღოს და დაეხმაროს აფეთქების მოწყობას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ასეთი სხვა სახელმწიფოს თხოვნით.

2. თვითეული მხარე ვალდებულებას კისრულობს აკრძალოს, აღკვეთოს და არ მოაწყოს მის იურისდიქციასა თუ კონტროლს დაქვემდებარებულ ნებისმიერ ადგილას, აგრეთვე ვალდებულებას კისრულობს არსად არ მოაწყოს, მონაწილეობა არ მიიღოს და არ დაეხმაროს

A) 150 კილოტონაზე მეტი სიმძლავრის ნებისმიერი ცალკე აფეთქების;

B) ნებისმიერი ჯგუფური აფეთქების მოწყობას, თუ:

(1) საერთო სიმძლავრე აღემატება 150 კილოტონას, გარდა გამონაკლისისა, როცა აფეთქება ეწყობა ისეთი წესით, რომელიც საშუალებას აძლევს განხორციელდეს თვითეული ცალკე აფეთქების იდენტიფიკაცია და განისაზღვროს ჯგუფში თვითეული ცალკე აფეთქების სიმძლავრე ამ ხელშეკრულების IV მუხლის და მისი ოქმის დებულებათა შესაბამისად;

(2) საერთო სიმძლავრე აღემატება ერთ-ნახევარ მეგატონას;

C) ნებისმიერ აფეთქებას, რომელიც მშვიდობიანი გამოყენების მიზნით არ ეწყობა;

Д) ნებისმიერ აფეთქებას, რომელიც არ შეესაბამება ატომსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების, ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებისა და იმ სხვა საერთაშორისო შეთანხმებათა დებულებებს, რომელთა მონაწილეც ეს მხარე არის.

3. იმსჯა მეტი სიმძლავრის ნებისმიერი ცალკე აფეთქების მოწყობის საკითხს, რომელიც აღნიშნულია ამ მუხლის მე-2 A) ქვეპუნქტში, მხარეები განიხილავენ შესაბამის დროს, რომელიც უნდა შეთანხმონ.

მუხლი IV

1. ამ ხელშეკრულების დებულებათა შესრულების რწმენის უზრუნველყოფის მიზნით თვითეული მხარე:

A) გამოიყენებს მის განკარგულებაში არსებულ კონტროლის ეროვნულ ტექნიკურ საშუალებებს ისეთნაირად, რომ ეს შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს; და

B) მეორე მხარეს მიაწვდის ინფორმაციას, შეუშვებს აფეთქებათა ადგილებში და ხელს შეუწყობს ამ ხელშეკრულების ოქმში ჩამოყალიბებულ დებულებათა შესაბამისად.

2. თვითეული მხარე ვალდებულებას კისრულობს დაბრკოლებანი არ შეუქმნას მეორე მხარის კონტროლის ეროვნულ ტექნიკურ საშუალებებს, რომელიც თავის ფუნქციებს ასრულებს ამ მუხლის (A) ქვეპუნქტის შესაბამისად, და ამ მუხლის 1 (B) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დებულებათა განხორციელებას.

მუხლი V

1. ამ ხელშეკრულების მიზნებისა და დებულებების განხორციელების ხელშესაწყობად მხარეები დაუყოვნებლივ შექმნიან ერთობლივ საკონსულტაციო კომისიას, რომლის ფარგლებში ისინი:

A) მოითათბირებიან ერთმანეთს, შეიტანენ შეკითხვებს და მიაწვდიან ინფორმაციას ამ შეკითხვებთან დაკავშირებით, რათა მხარეები დარწმუნებული იყვნენ, რომ ნაკისრი ვალდებულებანი სრულდება;

B) განიხილავენ საკითხებს, რომლებიც ეხება ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებას და ამასთან დაკავშირებულ ამ სიტუაციებს, რომლებიც შეიძლება ბუნდოვნად ჩაითვალოს;

C) განიხილავენ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება ამ ხელშეკრულების დებულებათა შესრულების უზრუნველყოფის საშუალებისათვის შექმნილ არაწინასწარგანზრახულ დაბრკოლებებს;

Д) განიხილავენ ტექნოლოგიის ცვლილებებს თუ სხვა ახალ გარემოებებს, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ ამ ხელშეკრულების დებულებებთან; და

E) განიხილავენ იმ დებულებათა შესაძლო შესწორებებს, რომლებიც აწესრიგებენ მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ატომურ აფეთქებებს.

2. მხარეები კონსულტაციების გზით შეიმუშავებენ და საჭიროების კვლევაზე შეუძლიათ შეცვალონ ერთობლივი საკონსულტაციო კომისიის დებულება, რომელიც აწესრიგებს პროცედურებს, შემადგენლობასა და სხვა შესაბამის საკითხებს.

მუხლი VI

1. მხარეები ურთიერთსარგებლობის, თანასწორობისა და ნაცვალგების საფუძველზე განავითარებენ თანამშრომლობას მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ატომურ აფეთქებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა დარგში.

2. ერთობლივი საკონსულტაციო კომისია ხელს შეუწყობს ამ თანამშრომლობას თანამშრომლობის იმ კონკრეტული დარგებისა და ფორმების განხილვის გზით, რომლებიც განისაზღვრება მხარეების შეთანხმებით მათი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.

3. მხარეები ჯეროვნად უზრუნველყოფენ ინფორმაციით ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ატომურ აფეთქებათა დარგში თავიანთი თანამშრომლობის შედეგების შესახებ.

მუხლი VII

1. თვითეული მხარე კვლავაც შეუწყობს ხელს საერთაშორისო შეთანხმებისა თუ შეთანხმებების და ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების V მუხლით გათვალისწინებული პროცედურების შემუშავებას და ამ მხრივ შესაბამის დახმარებას გაუწევს ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს.

2. თვითეული მხარე ვალდებულებას კისრულობს არ მოაწყოს, მონაწილეობა არ მიიღოს და არ დახმაროს რაიმე აფეთქების მოწყობას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუ ეს სახელმწიფო არ დათანხმდება განხორციელდეს მის ტერიტორიაზე საერთაშორისო შეთვალყურეობა და ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების V მუხლით გათვალისწინებული პროცედურები, აგრეთვე ამ ხელშეკრულების IV მუხლის და ხელშეკრულების ოქმის დებულებები, ამასთანავე თუ ეს სახელმწიფო არ იკისრებს ასეთი განხორციელებისათვის საჭირო დახმარებას, აგრეთვე ოქმში აღნიშნული პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მინიჭებას.

მუხლი VIII

1. ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება ხუთი წლის მანძილზე, და ვიდრე უგრძელდება ყოველი მომდევნო ხუთი წლით, თუ ერთ-ერთი მხარე არ აცნობებს მეორეს მისი მოქმედების შეწყვეტას არაუგვიანეს ექვსი თვისა მისი მოქმედების ვადის გასვლამდე. ამ ვადის გასვლამდე მხარეებს, საჭიროების კვალობაზე, შეუძლიათ მოაწყონ კონსულტაციები, რათა განიხილონ სიტუაცია, რომელსაც დამოკიდებულება აქვს ამ ხელშეკრულების არსთან. მაგრამ არც ერთ მხარეს არავითარ შემთხვევაში უფლება არა აქვს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, სანამ ძალაში რჩება ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის შეზღუდვის ხელშეკრულება.

2. ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის შეზღუდვის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა თვითეულ მხარეს ანიჭებს უფლებას ნებისმიერ დროს გამოვიდეს ამ ხელშეკრულებიდან.

3. თვითეულ მხარეს შეუძლია წამოაყენოს ამ ხელშეკრულების შესწორებათა წინადადებანი. შესწორებანი ძალაში შედის ასეთ შესწორებათა რატიფიკაციის შესახებ სიგელების გაცვლის დღეს.

მუხლი IX

1. ეს ხელშეკრულება, კერძოდ ოქმი, რომელიც მისი განუყოფელი ნაწილია, უნდა დამტკიცდეს თვითეული მხარის კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის შეზღუდვის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლასთან ერთად ხდება.

2. ეს ხელშეკრულება რეგისტრირებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად.

შედგენილია 1976 წლის 28 მაისს მოსკოვსა და ვაშინგტონში ორ ეგზემპლარად თვითეული რუსულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით	ამერიკის შეერთებული შტატების სახელით
ლ. ი. ბრეჟნევი	ჯ. ფორდი
სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.	ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.

ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას

28 მაისს კრემლში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულებას მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ატომურ აფეთქებათა შესახებ, რომლის მომზადების თაობაზე მხარეები შეთანხმდნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრების დროს.

საბჭოთა კავშირის სახელით ხელშეკრულებასა და მის ოქმს ხელი მოაწერა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

დოკუმენტებზე ხელმოწერამდე ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა განცხადება გააკეთა.

ხელმოწერის ცერემონიაზე იყვნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრომანი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ვ. ი. დოლგიხი, კ. თ. კატუშევი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი.

ესწრებოდა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში უ. ჯ. სტესელი.

მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ატომურ აფეთქებათა შესახებ ხელშეკრულებასა და მის ოქმს ერთდროულად ხელი მოაწერა ჯიმი კარტერმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდი. (საკდესი).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

პატიოცემული ამხანაგებო! ბატონებო!

დღეს მოსკოვსა და ვაშინგტონში ხელს ვაწერთ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულებას მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ატომური აფეთქებების შესახებ. ამერიკის მხრივ მას ხელი მოაწერა პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა.

გადაწყვეტილება ასეთი ხელშეკრულების მომზადების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრების დროს მივიღეთ. ახლა იგი პრაქტიკულად არის რეალიზებული. ეს ჩვენს კმაყოფილებას იწვევს.

გულდაჯერებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სსარგებლო საქმე გაკეთდა. ახალმა ხელშეკრულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მიწისქვეშა ატომური აფეთქებანი, რომლებზეც ლაპარაკია ხელშეკრულებაში, გამოვიყენოთ სწორედ მშვიდობიანი და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით. გათვალისწინებული გვაქვს საამისო გარანტიები, კერძოდ, დებულება კონტროლის შესახებ. ამასთანავე ხელშეკრულება ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობის განვითარებას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში, რაც სარგებლობას მოუტანს სხვა ქვეყნებსაც.

წინათ მიღწეულ შეთანხმებებთან შეხამებით ხელშეკრულება კიდევ ერთი რგოლია იმ ღონისძიებათა ჯაჭვში, რომლებიც მიზნად ისახავენ შეიარაღების ზრდის შეკავებას, ატომური იარაღის გამოცდის საყოველთაო და სრულ შეწყვეტას.

ხელშეკრულების პოლიტიკური მნიშვნელობა, უეჭველია, ისიც არის, რომ იგი კონკრეტული ნაბიჯია საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის პოზიტიური განვითარების გზაზე.

როცა ვლაპარაკობთ მიღწეულ წარმატებაზე — მშვიდობიანი ატომური აფეთქებების ხელშეკრულების დადებაზე, ამასთანავე არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ არსებობს მთელი რიგი დიდი პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ ელიან გადაწყვეტას. მათ შორის არის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი გრძელვადიანი შეთანხმების შემუშავების დამთავრება. ამასთან დაკავშირებით მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირი თავის მხრივ, ისევე როგორც წინათ, ამისათვის ყოველ ღონეს ხმარობს.

სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობაში მზად ვართ ენერგიულად ვიაროთ წინ იმ ღონისძიებათა ფართო ფრონტით, რომლებიც ხელს უწყობენ გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, განიარაღებას. არ არის იმაზე მაღალი და ჰუმანური მიზანი, ვიდრე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, სახელმწიფოთა ურთიერთობიდან ომის საფრთხის სიმედოდ აღკვეთა.

ხელმძღვანელობდა რა ამ მიზნით, ჩვენი პარტიის XXV ყრილობამ წამოაყენა კონკრეტული მოქმედების პროგრამა, რომლის განხორციელება არათუ ბოლოს მოუღებს გამალებული შეიარაღების საშიშ ზრდას, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება, არამედ უზრუნველყოფს კიდეც იარაღის დაგროვებული მარაგის ფიზიკურ შემცირებაზე, ფაქტიურ განიარაღებაზე მტკიცედ გადასვლას. მთავრობებს, სახელმწიფოთა პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს ნათლად უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რომ ამ საკითხების გადაწყვეტის უცილობელი საჭიროება თვით ცხოვრებით არის ნაკარნახევი.

ა. ნ. კოსიგინი ერაყის რესპუბლიკაში გაემგზავრა

ბაღდადი, 28 მაისი. (ტასსი). ერაყის სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის, ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოსა და მთავრობის მიწვევით 28 მაისს მოსკოვიდან ერაყში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

ამბ. ა. ნ. კოსიგინთან ერთად გაემგზავრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი გ. პ. სკორიკოვი.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აღმესაბამ მორთულ შერემეტიევოს აეროდრომზე ამბ. ა. ნ. კოსიგინი გააცილეს ამხანაგებმა ი. ვ. ანდროპოვმა, ა. ა. გრომიკომ, კ. ტ. მაზუროვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ბაღდადს მიმავალი ამბ. ა. ნ. კოსიგინი ერეკანში ჩამოდა.

აეროდრომზე მას დახვდნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ს. დემირჩიანი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ე. სარკისოვი, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ა. არზუმანიანი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

მიფრინავს „კოსმოს-821“

1976 წლის 26 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-821“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. ნაკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

(საკდესი).

სსრ კავშირში დაიწყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარის კვირეული



თბილისი, 1976 წლის 28 მაისი. სსრ კავშირში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარის კვირეულის გახსნა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. ვლ. ბინზბურგის ფოტო.

ხელოვნებას ჭეშმარიტად არ აქვს საზღვარი, იგი აახლოებს ხალხებს!—ამ დებულების სისწორეს კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოსა და საარის ხელოვნების მოღვაწეთა კულტურული თანამშრომლობა, რომელსაც სამ წელიწადზე მეტი ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი. შეხვედრიდან შეხვედრამდე მტკიცდებოდა ეს ურთიერთობა. ახლანდელი შეხვედრა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს თანამშრომლობა გადაიქცა მეგობრობად, რომელიც ემსახურება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხალხების ურთიერთგაგებას.

სსრ კავშირში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარის კვირეული ოფიციალურად გაიხსნა 28 მაისს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

სცენა მორთულია ტრანსპარანტებით, რომლებზეც წარწერილია გულთბილი მისასალმებელი სიტყვები კვირეულის ყველა მონაწილისადმი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსული ტურისტებისადმი, ფრიალებს სსრ კავშირის, საქართველოს სს რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საარის მზარის სახელმწიფო ალმები.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოთარ თაქთაქიშვილი მიესალმა კვირეულის მონაწილეებს, შეკრებილთ გააცნო საარელი სტუმრები და მოუთხრო იმ კონცერტებისა და ახალი სპექტაკლების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარის კვირეულის პროგრამით.

ო. თაქთაქიშვილმა რწმენა გამოთქვა, რომ კვირეული ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხალხების ნაყოფიერ თანამშრომლობას ცხოვრების ყველა სფეროში. შემდეგ იგი სიტყვას აძლევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ზ. პატარიძეს.

ზ. პატარიძე ქართველი ხალხისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის სახელით მხურვალედ მიესალმა სსრ კავშირში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარის კვირეულის ყველა მონაწილეს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — სსრ კავშირის საარის მხარის საზოგადოების დელეგაციების წევრებს და თბილისში ჩამოსულ საარელ კომუნისტებს. ჩვენს რესპუბლიკაში გერმანიის ფედერაციული რე-

(დასასრული მე-2 გვ.)

სსრ კავშირში დაიწყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარის კვირეული

(დასასრული)

სპუბლიკის საარის მხარის ხელოვნების მოღვაწეთა ჩამოსვლა,— თქვა მან, — იმ მნიშვნელოვან წარმატებათა სასაამოვნო შედეგია, რომლებსაც უკანასკნელ წლებში მივაღწიეთ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თანამშრომლობის შედეგად.

ხალხებს შორის მტკიცე მშვიდობა, საერთაშორისო კლიმატი გაჯანსაღება, ხალხთა მეგობრობისა და პროგრესის მაღალი იდეალების ყველა პატიოსანი ადამიანის მისწრაფებაა.

სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობას გაუმჯობესებაში უდიდესი როლი შეასრულეს უმაღლესი დონის შეხვედრებმა, ლ. ი. ბრეჟნევის მოლაპარაკებამ გ. ბრანდტთან, გ. შმიდტთან, ვ. შელთან და სხვა საბელმწიფო კონტაქტებმა.

ჩვენ გვჯერა მშვიდობის საქმის გამარჯვება, გვჯერა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნიჭიერი და შრომასმოყვარე ხალხი საკადრის პასუხს გასცემს. იმაი, ვინც ცდილობს ჩრდილი მიაყენოს ჩვენი ქვეყნების შემდგომ თანამშრომლობას.

ქართველი ხალხი, რომელსაც თვითმყოფი და მრავალსაუკუნოვანი კულტურა აქვს, კარგად იცნობს ძველ და ახალ გერმანულ კულტურას, ღიმსეულად აფასებს მის როლს მსოფლიოს კულტურის ბოგარეულში.

საქართველო-გერმანიის კულტურულ ურთიერთობას თავისი ისტორია და ტრადიციები აქვს. უკანასკნელ ხანს ამ ურთიერთობას შეემატა ბევრი კარგი ერთად განხორციელებული ღონისძიება. უახლოეს წარსულში დიდი კმაყოფილებით ვადევნებდით თვალს საარბრიუკენში ქართული კულტურის კვირეულის მიმდინარეობას, იმას, თუ როგორ ეღერდნენ საარის მხარეში ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“, როგორ გამოდიოდნენ ქართველი შემსრულებლები. ჩვენ მადლობას ვუძღვნით საარის მხარის საზოგადოებრიობას გულითადი მასპინძლობისათვის, რომელიც ქართული ხელოვნებას წარმომადგენლებს გაუწიეს.

იმედი გვაქვს, რომ როგორც ქართული კვირეული საარში, ისე საარის კვირეული საქართველოში უბრალო კულტურული გაცვლა კი არ იქნება, არამედ ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრული თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

— თქვენი ვიზიტი, — თქვა ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტის ... ...

საქართველოს სსრ
სახალხო კონტროლის
კომიტეტში

შალვაზის კონტროლით!

№ 112

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲬᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ...

ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ სახალხო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების თაობაზე პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ ამას წინათ იმსჯელა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა, რომელშიც ვრცელი დადგენილება მიიღო.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ სახალხო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ (მინისტრი ვ. პაატაშვილი), გარკვეული მუშაობის მიუხედავად მთლიანად ვერ უზრუნველყო მოსახლეობის სახალხო-კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების თაობაზე პარტიისა და მთავრობის უნიშვნელოვანესი დადგენილებების და საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულება, არ კანაბარილი ყოველდღიური ხელმძღვანელობა დაქვემდებარებული სამსახურებისა და ქვედანაყოფების მუშაობისადმი და არ დაიწესა მუდმივი სამეთვალყურეო კონტროლი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან. სამინისტროში წლების მანძილზე დამკვიდრდა მრავალრიცხოვან ობიექტებზე სახლების დაშენების მანკიერი პრაქტიკა და შეიქმნა კეთილდღეობის მოჩვენებითი ვითარება. მინისტრის ბრძანებები და გეგმიერ-ანგარიშები ზოგადი და არაკონკრეტულია, მაში აღნიშნული არ არის შემსრულებლები და დასახული ღონისძიებანი ყოველთვის როდია დასაბუთებული.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება ზემდგომი ორგანოების მრავალგზისი მითითებანი, მათ შორის საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სახალხო-კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლოატაციის გაუმჯობესების შესახებ, აგრეთვე დადგენილება 1967-1968 წლებისათვის ყველა საცხოვრებელ შენობაზე პასპორტების შედგენის შესახებ (იგი მხოლოდ 62 პროცენტით არის შესრულებული). ამის გამო სახალხო ორგანოები რემონტისათვის სახლების შერჩევას სათანადო ანალიზისა და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეუსწავლელად აწარმოებენ. ბევრი ავარიული საცხოვრებელი სახლი ხანგრძლივი დროის განმავლობაში რემონტის მოლოდინშია. მიმდინარე და კომპლექსური კაპიტალური რემონტი დროულად არ ტარდება. სახალხო ფონდის ფაქტიური მდგომარეობის შესწავლამ გვიჩვენა ის, რომ ავარიული სახლების რაოდენობა რესპუბლიკაში არ მცირდება, მარტო ქ. თბილისში ამჟამად 1.230 სახლი ექვემდებარება კაპიტალურ, ხოლო 1.164 — საავარიო-აღდგენით რემონტს მოითხოვს, რაზეც 24 მილიონი მანეთის დამატებითი ასიგნებანია საჭირო. ქ. ქუთაისში სახალხო ფონდის აღდგენისათვის დამატებით 8 მილიონ მანეთზე, ხოლო რუსთავში — 10 მილიონ მანეთზე მეტია საჭირო. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა სოხუმში, ბათუმში და სხვ.

საწარმოო მიზნებისათვის სასმელი წყლის მოხმარების შეზღუდვაზე ზემდგომი ორგანოების დადგენილების შეუსრულებლობის შედეგად ამჟამად დაზღვევით წყლის 44 პროცენტს სამრეწველო საწარმოები საქალაქო წყალსადენებიდან იღებენ, რაც მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებაში წყვეტილებას ქმნის. ტექნიკური მოუწესრიგებლობის, წყალსადენის სისტემის არადამაკმაყოფილებელი მომსახურებისა და დაბალი სანიტარული დგომარეობის გამო ხდება მოსახლეობისათვის არასანდარტული სასმელი წყლის მიწოდება, რაც ქმნის ინფექციურ დაავადებათა გავრცელების საშიშროებას. დღემდე შეუსრულებელია ზემდგომი ორგანოების დადგენილება თბილისის წყალსადენის წყლის ქლორირების შესახებ. არ წარმოებს მომხმარებლებისათვის მიწოდებული წყლის აღრიცხვა, რაც საანგარიშგებო მონაცემების უზუსტობას იწვევს.

არადამაკმაყოფილებლადაა ორგანიზებული რესპუბლიკაში საკანალიზაციო და საწმენდ ნაგებობათა მშენებლობის მდგომარეობისა და მისი ჩამორჩენის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულება. 1975 წელს საკანალიზაციო ნაგებობათა მშენებლობის გეგმა სულ 64 პროცენტით არის შესრულებული, ხოლო საწმენდ ნაგებობათა საექსპლოატაციოდ გადაეცემის გეგმა ჩაშლილია.

რესპუბლიკის 108 ქალაქიდან, ქალაქის ტიპის დასახლებიდან და კურორტიდან კანალიზაცია გაკეთებულია მხოლოდ 35, საწმენდი ნაგებობანი აგებულია 12 ქალაქსა და კურორტზე, რის შედეგად საქალაქო საკანალიზაციო ჩანადენების მხოლოდ 10 პროცენტი იწმინდება. მშენებლობის მიერ დაშვებული დიდი ხარვეზების გამო ქ. თელავში და ხაშურში, დაბა ბაჯორიანში საწმენდი ნაგებობანი ფაქტიურად უმოქმედოდაა. ქ. ფოთში და გორში არსებული კანალიზაციის საწმენდი ნაგებობანი აგრეთვე უმოქმედოდაა და ფეკალური წყლები წყალსატევებში ხვდება და ანიხრტუს მათ. წყალტუბოს წყალსადენ-საკანალიზაციო ნაგებობათა მშენებლობა მიშვებულია, ცალკეული შენობები და ნაგებობანი განკომპლექტებულია.

დიდ დაბინძურებას განიცდის შავი ზღვის საკურორტო ზონა. მუშაობა გაშლილი არ არის შავი და აზოვის ზღვების აუზის დაბინძურების თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ ზემდგომ ორგანოების დადგენილების შესასრულებლად. სამინისტროო არ იღებს ეფექტიან ზომებს ქ. თბილისსა და რუსთავში საკანალიზაციო ნაგებობათა მშენებლობაში ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ, რომელთა აგება 1958 წელს არის დაწყებული. ჯერ კიდევ არ არის დაწყებული ფეკალური სითხეების მიძღები სადგურის მშენებლობა, თუმცა იგი 1975 წელს უნდა დამთავრებულიყო.

სამინისტროს სისტემაში ქმედითად არ ებრძვიან მოჩქარნერობისა და ყაირათიანობისათვის, ხშირია მატერიალურ ფასეულობათა გაფუჭების, დატაცების და მიწერების შემთხვევები. დატაცებების, გაფლანგვების და სახელმწიფო სახსრების უკანონო ხარჯვის შემთხვევები შარშან მოხდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახნაო სამართველოს ლიფტის მეურნეობის სპეციალურ სარემონტო სამშენებლო სამმართველოში — (33 ათასი მანეთის ოდენობით), სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამინაკომუნალური სამმართველოს საგზაო საექსპლოატაციო უბანზე (47 ათასი მანეთი) და სხვ. არის მუშებისათვის ხელფასის დიდი დაგვიანებით გაცემის შემთხვევები, საპროექტო საკვლევი და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმების შეუსაბამობის შემთხვევები, მორალურად ძველდება და დაპროექტებაზე დახარჯული დიდძალი სახელმწიფო სახსრები (300 ათასი მანეთამდე) სათანადო უკუგებას არ იძლევა. მთლიანად სამინისტროში 1975 წელს დაუგეგმავად დანაკარგებმა 1.550 ათასი მანეთი შეადგინა. მათ შორის ჯარიმებმა, საურავებმა, პირსაგებეხლომ — 249 ათასი მანეთი. ამ ზარალმა მეცხრე ხუთწლედის წლებში 6.083 ათასი მანეთი შეადგინა. შეინიშნება აგრეთვე დებიტორული დავალიანების ზრდა.

სერიოზული ნაკლოვანებებია კადრების შერჩევის, განაწილების და აღზრდის საქმეში. ეს კი დიდ დანაკარგის იწვევს. კომუნალურ საწარმოთა კომბინატების 62 უფროსიდან უმაღლესი განათლება მხოლოდ 42 კაცს აქვს.

ეს სერიოზული ნაკლოვანებები და უხეში დარღვევები იმის შედეგია, რომ საქართველოს სსრ სახალხო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და პირადად მინისტრმა ამბ. ვ. პაატაშვილმა არ გარდაქმნეს მუშაობა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად. აქ სათანადო გეგმაზომიერ და მიზანდასახულ ბრძოლას არ აწარმოებენ ნეგატიურ მოვლენათა აღმოსაფხვრელად, მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად. სამინისტროს აპარატში და მის ადგილობრივ რგოლებში არ არის შექმნილი მომთხოვნელობისა და ნაკლოვანებებისადმი შეუწყნარებლობის, პერსონალური პასუხისმგებლობის ატმოსფერო, გამეფებულია თვითდამშვიდება და უდარდელობა.

სამინისტროს ხახალხო კონტროლის ჯგუფი (თავმჯდომარე ვ. კიტოვანი) განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად არავითარ ზომებს არ იღებს.

კომიტეტის დადგენილებით სამინისტროს ხახალხო და ყაირათიანობა მეურნეობათა მთავარი სამმართველოების უფროსებს თ. ჯაფარიძეს და ვ. ქორქიას საყვედური გამოეცხადა, ხოლო სამინისტროს თბომეურნეობის სამმართველოს უფროსს გ. გუნცაძეს შენიშვნა მიეცა. კომიტეტმა მინისტრის პირველ მოადგილეს ო. ქავთარაძეს, მინისტრის მოადგილეებს მ. მღებრიშვილს და დ. ქაჯაიას მოსთხოვა ყველაფერი იღონონ სამსახურების და სამინისტროს ქვედანაყოფების საქმიანობის ძირეულად გაუმჯობესების, მათი როლისა და მოსახლეობის სახნაო-კომუნალური მომსახურების ძირეულად გაუმჯობესებისათვის.

ამასთან საქართველოს სსრ სახნაო კომუნალური მეურნეობის მინისტრის ვ. პაატაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი შეტანილ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ

ფონდისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლოატაციის გაუმჯობესების შესახებ, აგრეთვე დადგენილება 1967-1968 წლებისათვის ყველა საცხოვრებელ შენობაზე პასპორტების შედგენის შესახებ (იგი მხოლოდ 62 პროცენტით არის შესრულებული). ამის გამო სახნაო ორგანოები რემონტისათვის სახლების შერჩევას სათანადო ანალიზისა და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეუსწავლელად აწარმოებენ. ბევრი ავარიული საცხოვრებელი სახლი ხანგრძლივი დროის განმავლობაში რემონტის მოლოდინშია. მიმდინარე და კომპლექსური კაპიტალური რემონტი დროულად არ ტარდება. სახნაო ფონდის ფაქტიური მდგომარეობის შესწავლამ გვიჩვენა ის, რომ ავარიული სახლების რაოდენობა რესპუბლიკაში არ მცირდება, მარტო ქ. თბილისში ამჟამად 1.230 სახლი ექვემდებარე კაპიტალურ, ხოლო 1.164 — საავარიო-აღდგენით რემონტს მოითხოვს, რაზეც 24 მილიონი მანეთის დამატებითი ასიგნებანია საჭირო. ქ. ქუთაისში სახნაო ფონდის აღდგენისათვის დამატებით 8 მილიონ მანეთზე, ხოლო რუსთავში — 10 მილიონ მანეთზე მეტია საჭირო. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა სოხუმში, ბათუმში და სხვ.

საწარმოო მიზნებისათვის სასმელი წყლის მოხმარების შეზღუდვაზე ზემდგომი ორგანოების დადგენილების შეუსრულებლობის შედეგად ამჟამად დაზღვევით წყლის 44 პროცენტს სამრეწველო საწარმოები საქალაქო წყალსადენებიდან იღებენ, რაც მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებაში წყვეტილებას ქმნის. ტექნიკური მოუწესრიგებლობის, წყალსადენის სისტემის არადამაკმაყოფილებელი მომსახურებისა და დაბალი სანიტარული დგომარეობის გამო ხდება მოსახლეობისათვის არასანდარტული სასმელი წყლის მიწოდება, რაც ქმნის ინფექციურ დაავადებათა გავრცელების საშიშროებას. დღემდე შეუსრულებელია ზემდგომი ორგანოების დადგენილება თბილისის წყალსადენის წყლის ქლორირების შესახებ. არ წარმოებს მომხმარებლებისათვის მიწოდებული წყლის აღრიცხვა, რაც საანგარიშგებო მონაცემების უზუსტობას იწვევს.

არადამაკმაყოფილებლადაა ორგანიზებული რესპუბლიკაში საკანალიზაციო და საწმენდ ნაგებობათა მშენებლობის მდგომარეობისა და მისი ჩამორჩენის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულება. 1975 წელს საკანალიზაციო ნაგებობათა მშენებლობის გეგმა სულ 64 პროცენტით არის შესრულებული, ხოლო საწმენდ ნაგებობათა საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა ჩაშლილია.

რესპუბლიკის 108 ქალაქიდან, ქალაქის ტიპის დასახლებიდან და კურორტიდან კანალიზაცია გაკეთებულია მხოლოდ 35, საწმენდი ნაგებობანი აგებულია 12 ქალაქსა და კურორტზე, რის შედეგად საქალაქო საკანალიზაციო ჩანადენების მხოლოდ 10 პროცენტი იწმინდება. მშენებლობის მიერ დაშვებული დიდი ხარვეზების გამო ქ. თელავში და ხაშურში, დაბა ბაჯორიანში საწმენდი ნაგებობანი ფაქტიურად უმოქმედოდაა. ქ. ფოთში და გორში არსებული კანალიზაციის საწმენდი ნაგებობანი აგრეთვე უმოქმედოდაა და ფეკალური წყლები წყალსატევებში ხვდება და ანიხრტუს მათ. წყალტუბოს წყალსადენ-საკანალიზაციო ნაგებობათა მშენებლობა მიშვებულია, ცალკეული შენობები და ნაგებობანი განკომპლექტებულია.

დიდ დაბინძურებას განიცდის შავი ზღვის საკურორტო ზონა. მუშაობა გაშლილი არ არის შავი და აზოვის ზღვების აუზის დაბინძურების თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ ზემდგომ ორგანოების დადგენილების შესასრულებლად. სამინისტროო არ იღებს ეფექტიან ზომებს ქ. თბილისსა და რუსთავში საკანალიზაციო ნაგებობათა მშენებლობაში ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ, რომელთა აგება 1958 წელს არის დაწყებული. ჯერ კიდევ არ არის დაწყებული ფეკალური სითხეების მიძღები სადგურის მშენებლობა, თუმცა იგი 1975 წელს უნდა დამთავრებულიყო.

სამინისტროს სისტემაში ქმედითად არ ებრძვიან მოჩქარნერობისა და ყაირათიანობისათვის, ხშირია მატერიალურ ფასეულობათა გაფუჭების, დატაცების და მიწერების შემთხვევები. დატაცებების, გაფლანგვების და სახელმწიფო სახსრების უკანონო ხარჯვის შემთხვევები შარშან მოხდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახნაო სამმართველოს ლიფტის მეურნეობის სპეციალურ სარემონტო სამშენებლო სამმართველოში — (33 ათასი მანეთის ოდენობით), სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამინაკომუნალური სამმართველოს საგზაო საექსპლოატაციო უბანზე (47 ათასი მანეთი) და სხვ. არის მუშებისათვის ხელფასის დიდი დაგვიანებით გაცემის შემთხვევები, საპროექტო საკვლევი და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმების შეუსაბამობის შემთხვევები, მორალურად ძველდება და დაპროექტებაზე დახარჯული დიდძალი სახელმწიფო სახსრები (300 ათასი მანეთამდე) სათანადო უკუგებას არ იძლევა. მთლიანად სამინისტროში 1975 წელს დაუგეგმავად დანაკარგებმა 1.550 ათასი მანეთი შეადგინა. მათ შორის ჯარიმებმა, საურავებმა, პირსაგებეხლომ — 249 ათასი მანეთი. ამ ზარალმა მეცხრე ხუთწლედის წლებში 6.083 ათასი მანეთი შეადგინა. შეინიშნება აგრეთვე დებიტორული დავალიანების ზრდა.

სერიოზული ნაკლოვანებებია კადრების შერჩევის, განაწილების და აღზრდის საქმეში. ეს კი დიდ დანაკარგის იწვევს. კომუნალურ საწარმოთა კომბინატების 62 უფროსიდან უმაღლესი განათლება მხოლოდ 42 კაცს აქვს.

ეს სერიოზული ნაკლოვანებები და უხეში დარღვევები იმის შედეგია, რომ საქართველოს სსრ სახნაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და პირადად მინისტრმა ამბ. ვ. პაატაშვილმა არ გარდაქმნეს მუშაობა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად. აქ სათანადო გეგმაზომიერ და მიზანდასახულ ბრძოლას არ აწარმოებენ ნეგატიურ მოვლენათა აღმოსაფხვრელად, მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად. სამინისტროს აპარატში და მის ადგილობრივ რგოლებში არ არის შექმნილი მომთხოვნელობისა და ნაკლოვანებებისადმი შეუწყნარებლობის, პერსონალური პასუხისმგებლობის ატმოსფერო, გამეფებულია თვითდამშვიდება და უდარდელობა.

სამინისტროს ხახალხო კონტროლის ჯგუფი (თავმჯდომარე ვ. კიტოვანი) განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად არავითარ ზომებს არ იღებს.

კომიტეტის დადგენილებით სამინისტროს ხახალხო და ყაირათიანობა მეურნეობათა მთავარი სამმართველოების უფროსებს თ. ჯაფარიძეს და ვ. ქორქიას საყვედური გამოეცხადა, ხოლო სამინისტროს თბომეურნეობის სამმართველოს უფროსს გ. გუნცაძეს შენიშვნა მიეცა. კომიტეტმა მინისტრის პირველ მოადგილეს ო. ქავთარაძეს, მინისტრის მოადგილეებს მ. მღებრიშვილს და დ. ქაჯაიას მოსთხოვა ყველაფერი იღონონ სამსახურების და სამინისტროს ქვედანაყოფების საქმიანობის ძირეულად გაუმჯობესების, მათი როლისა და მოსახლეობის სახნაო-კომუნალური მომსახურების ძირეულად გაუმჯობესებისათვის.

ამასთან საქართველოს სსრ სახნაო კომუნალური მეურნეობის მინისტრის ვ. პაატაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი შეტანილი იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

ᲡᲐᲥᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲔᲑᲘ

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ ქარხანა „ელექტროავტომატის“ კოლექტივის სახალხო კონტროლიორები სისტემატურად ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს, ამასთან მუშაობის თავიანთ გამოცდილებას ახლგაზრდა მუშებს უზიარებენ.

სურათზე: ზემოთ (მარცხნიდან) — სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ჯ. ეფრემიძე, წევრები: ამწყობი ზეინკლები თ. სხილაძე, მ. გაბრელიძე და ოსტატი მ. მაჩიტიძე ამოწმებენ ნახალი ა0-2060 ტიპის ავტომატის აწყობის ხარისხს.

ბ. ბუბუნაის ფოტო.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ხერგო ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფი სისტემატურად აწყობს რეიდებს, რომელთა მასალებს განხილავენ სეროო და პარტიულ კრებებზე, აქვეყნებენ კედლის გაზეთში, გადასცემენ ქარხნის რადიოთი.

სურათზე: ქვემოთ — სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები (მარცხნიდან) გამმართველი ა. ჩიპელეანი, ქარხნის სარეკონო სექტორის უფროსი ძ. ალშიბაია, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის მოადგილე ა. აბაცაძე, კონსტრუქტორი ბ. ბაბეანიძე და გამმართველი ბ. ბელაძე ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმპრესს ფოტოქრონიკა).

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ, ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ მდგომარეობის, მისი დონის ზუსტი განმსაზღვრელი და შემფასებელი, ცხადია, პირველ რიგში მომსმარებელია.

იგი ყოველთვის მწვავედ განიცდის იმ ნეგატიური მოვლენების სასწრაფარო შედეგს, რაც ჩვენი რესპუბლიკის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგებში გვაქვს.

დასამალავი როდია, დედაქალაქსა და რესპუბლიკის რაიონებში ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების საქმეში ბევრგან არაფერი შეცვლილა და დღეს ვითარება სამდვილად რომ არასახარბიელოა. საკვაჭრო ობიექტის ზოგიერთი ხელმძღვანელი კამპანიურ ღონისძიებებს სჯერდება და ფაქტიურად დარღვევებისადმი შეუწყნარებლობის ატმოსფეროს ვერ ქმნის. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, იმის შედეგია, რომ ადამიანები, რომლებსაც მინდობილი აქვთ ეს დიდი საქმე, მოალეობს გულგრილად ეკიდებიან. ამის გამო აშკარა დანაშაულობათა ფაქტებიც საკმაოდ არის.

სამწუხაროა, რომ თბილისში, სადაც ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შემოწმებისათვის დიდძალი დრო, ძალნები, მუშაკთა შრომა იხარჯება, დარღვევები სავაჭრო ობიექტებში არა თუ კლებულობს, არამედ პირიქით, მას არხებითი ხასიათი აქვს.

ლენინის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა სავაჭრო და მომსახურების სფეროს ობიექტებში ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის მდგომარეობის შემოწმება რომ მოაწყო, მეტად სერიოზული დარღვევები გამოვლინდა, რომელთა ჩამოსათვლელად, სამწუხაროდ, ერთი საგაზეთო სტატია ოდენ ქმარა. მაგალითად, შემოწმების შედეგად დარღვევები აღმოჩნდა რაიკვაკვაჭრობის № 19, 66, 4, 12, 72 პავილიონებში, № 95, 29, 20, 10, 19, 17, 44, 14, 98, 96 მაღაზიებში, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მუშათა მომარაგების განყოფილების № 87 კიოსკი, რაიონის ხილბოსტანვაჭრობის № 14, 84, 68 მაღაზიებში, № 46 და 25 თბილისმეურნეო ვაჭრობის მაღაზიებში, „სოიუზპჩატის“ № 7 კიოსკში, ხასადილოების ტრესტის გაერთიანების მე-2 სასაუზმეში, პირველი მაისის ხახელობის სამკერვალო ფაბრიკის, აეროპლის შუშის ქარხნის, „თბილეგზოგაპარატის“ მუშათა სასადილოებში, სასადილოების ტრესტის № 29 სასადილოში, მეექვსე პროფტექნიკური სასწავლებლის ფეხსაცმლის შემკეთებელ სახელოსნოში, № 10, 25 ატელიეებში, № 38, 61 საპარიკმახეროებში, № 9, 11, 16, 29 ფოტო ატელიეებში, ტანსაცმელეაბრობის № 6 მაღაზიის საწყობში და სხვაგან.

სანტარული მოთხოვნის ეკრავლთარ ნორმებს ვერ აკმაყოფილებს № 2, 5, 8, 46, 92, 96, 176, 180, 223 პურის მაღაზიებში არსებული მდგომარეობა. ერთი სიტყვით, მომხმარებელთა ფასებში, წონაში, ზომაში, ხარისხში, კალორიაში მოტყუება, სწრაფ-სარეალიზაციო საქონლეულის ფასიანობა, ფასიანობა, ფასიანობა,

ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა დღეს დაყოფილია მხარეებად (მიწებად, ოლქებად), რომელთაც თავიანთი ადმინისტრაცია და სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტები აქვთ. საარლანდი, ანუ საარის მხარე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ოლქია. საარლანდი ესაზღვრება საფრანგეთს, ლუქსემბურგს და რაინლანდ-ფალეცის ოლქს. ერთ დროს საარლანდად საფრანგეთის გამგებლობაშიც კი იყო და ამიტომ ამ მხარეში ფრანგული კულტურის გავლენა ყველაზე მეტად იგრძნობა.

საარლანდს უჭირავს 2.567 კვ. კილომეტრი ფართობი, მოსახლეობის რაოდენობა მილიონს აღემატება. საარლანდის ჩრდილო მხარე დასერილია ფართო ხეობებით, დაბლობები ნოყიერი და სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგია. ოლქი მდიდარია ქვანახშირით. საერთოდ, მთელი ოლქი მჭიდროდ არის დასახლებული, მოსახლეობის სიმჭიდროვე განსაკუთრებით იგრძნობა იმ ადგილებში, სადაც ქვანახშირის მომპოვებელი შახტებია. საარლანდის მოსახლეობის 80 პროცენტი ქალაქებში ცხოვრობს. ოლქის დედაქალაქია საარბრიუკენი, რომელიც სხვა ქალაქებისაგან გამოირჩევა თავისი სიდიდით, სამეურნეო და კულტურული მნიშვნელობით, მაგრამ საარბრიუკენის გარდა მნიშვნელოვან ქალაქთა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე ვიოლქლინგენი, ნოინქირჰენი, ზაარლუი და სხვ.

მრეწველობაში და სახელოსნოებში დასაქმებულია მოსახლეობის 55, სოფლის მეურნეობაში კი 15 პროცენტი. საარლანდში განვითარებულია როგორც მძიმე, ისე მსუბუქი მრეწველობა. მძიმე მრეწველობა კონცენტრირებულია იმ რაიონებში, სადაც ქვანახშირის მოპოვება წარმოებს, ძირითადად ნოინქირჰენის, სანქთინგბერთის, საარბრიუკენის, ფიოლქლინგენისა და დილინგენის ირგვლივ. ოლქის მნიშვნელოვან სამრეწველო დარგებს წარმოადგენს თუჯისა და ფოლადის გამოდნობა, ლითონის დამუშავება, მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკური, ქიმიური, კერამიკული, მინის, ცემენტის და საფეიქრო მრეწველობა, ოლქის ტერიტორიის თითქმის ნახევარს სოფლის მეურნეობისათვის იყენებენ: მისდევენ მესაქონლეობას, მოჰყავთ ქერი, ჭვავი, ხორბალი, კარტოფილი. საარლანდის ტერიტორიის ერთი მესამედი დაფარულია ტყით, ძირითადად ხარობს ფოთოლვანი ჯიშის ხეები (მუხა, წიფელა). საარის მხარე დასერილია რკინიგზებითა და საავტომობილო ტრასებით. ამ მოკლე მონაცემებიდან ჩანს, რომ საარლანდს დიდი წვლილი შეაქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის როგორც სამრეწველო, ისე კულტურულ განვითარებაში.

ნ. ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘ.

ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲜᲘᲥᲝᲖᲘᲐ. (საკადრისი კორ.). კვიპროსის პირველ სახელმწიფო საერთაშორისო ბაზრობაზე, რომელიც 14 მაისს გაიხსნა აქ, გუშინ აღინიშნა საბჭოთა კავშირის დღე.

საბჭოთა პავილიონში უკვე იყო მრავალი ათასი კვიპროსელი. „მეტად შთამბეჭდავი ექსპოზიციაა. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა პავილიონი ხელს შეუწყობს კიდევ უფრო მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას ჩვენს ქვეყნებს შორის“. დამთვალიერებელთა წიგნში ასეთი ჩანაწერი დატოვა კვიპროსის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა მ. კოლოკასიდისმა. მრავალრიცხოვანი ჩანაწერები ბერძნულად, ინგლისურად და რუსულად მოწმობენ კვიპროსელთა დიდ ინტერესს საბჭოთა კავშირისადმი.

საბჭოთა პავილიონისადმი დიდ ინტერესს იჩენენ საქმიანი წრეებიც. კვიპროსის ფირმებსა და საბჭოთა საგარეო-სავაჭრო გაერთიანებებს შორის უკვე დადებულია 600 ათასამდე მანეთის კონტრაქტები.

ᲢᲠᲘᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐ

ᲞᲠᲐᲰᲐ. (საკადისი). „მადლიერ პრაღას მუდამ ემახსოვრება, თუ რა გმირობა ჩაიდინა საბჭოთა არმიამ, რომელმაც ჰიტლერული ტირანიისაგან გაგვათავისუფლა. ეს გმირობა იმ მოქალაქეთა ბრძოლის ეპიზოდებთან ერთად, რომლებიც ბარიკადებზე აღფრთოვანებით ეგებებოდნენ საბჭოთა მეომრებს, მინდა აქედან მეორე მსოფლიო ომის მოვლენებისადმი მიძღვნილი ტრილოგიის ბოლო ფილმში“, — უთხრა საკადისის კორესპონდენტს ცნობილმა ჩეხოსლოვაკიელმა რეჟისორმა ოტაკარ ვავრამ, რომელიც ახლა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქში იღებს ფილმს „განთავისუფლება“.

ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲘᲡ ᲕᲐᲓᲐ ᲒᲐᲐᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲔᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. (საკადისი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კურტ ვალდჰაიმმა უშიშროების საბჭოს ურჩია კიდევ 6 თვით გაახანგრძლივოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალების მანდატი გოლანის მაღლობებზე ისრაელსირიის სექტორში ჯარების დაშორიშორების თვალყურის დევნებისათვის.

ᲒᲤᲠ-ᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

ᲑᲝᲜᲜᲘ. (საკადისი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობამ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტატისტიკურ სამმართველოს მონაცემებით, 1975 წლის დამლევისათვის 61.645.000 შეადგინა. ეს 347.000-ით ნაკლებია, ვიდრე 1974 წლის 31 დეკემბრისათვის იყო.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲐᲓᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

28 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲝ. (საკადისი). მექსიკის კომუნისტურმა პარტიამ მოითხოვა, რომ ქვეყანაში განსორციელდეს დემოკრატიული გარდაქმნები და პოლიტიკური რეფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხალხის მასების მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში და ანტიიმპერიალისტური ბრძოლის მიზნების განხორციელებას.

პოლიტიკურმა რეფორმებმა, ნათქვამია მექსიკის კომუნისტური პარტიის განცხადებაში, უნდა უზრუნველყონ პოლიტიკური ცხოვრებაში მონაწილე ყველა ძალის — მთავრობის, პარტიების, პროფკავშირებისა და სხვა ორგანიზაციების ახალი ტიპის ურთიერთობა.

ᲡᲔᲜᲢᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. (საკადისი). აქ დამთავრდა ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაციის (სენტოს) საბჭოს ორი დღის სხდომა. ამ სამხედრო ბლოკში, რომელიც 1955 წელს შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ზეგავლენით, შედიან აგრეთვე ირანი, პაკისტანი და თურქეთი. სენტოს საბჭოს ყოველწლიური სესია მიზნად ისახავს მოახდინოს ამ სამხედრო დაჯგუფების „გალვანიზაცია“.

თუ პრესის ცნობებით ვიმსჯელებთ, სესიაზე ჰ. კისინჯერის გამოსვლაში ლაპარაკი იყო სენტოს ქვეყნების ღონისძიებათა კოორდინაციაზე. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს არ დაუმალავს, რომ ამ ბლოკმა გავლენა უნდა მოახდინოს ახლო აღმოსავლეთში ვითარების განვითარებაზე, სადაც თითქოს „იმედის მომცემი ძვრები მომხდარიყოს“.

ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲕᲓᲐ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. (საკადისი). ლიბანში ვითარება კვლავ მკვეთრად გამწვავდა. გუშინ მოკლეს პროგრესული სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის კ. ჯუმბლათის და ლინდა ალათრაში. პრესას ეს აქტი მიაჩნია მორიგ რგოლად პოლიტიკურ მკვლელობათა ჯაჭვში, რომლებიც დაიწყო პარტიის ეროვნული ბლოკის ლიდერზე რ. ედაზე თავდასხმით. აქ აგრეთვე ყურადღებას აპყრობენ იმ ფაქტს, რომ ლინდა ალ-ათრაში მოკლეს რამდენიმე საათით ადრე, სანამ დაიწყებოდა 27 მაისისათვის დანიშნული ახლად არჩეული პრეზიდენტის ი. სარკისიანის და კ. ჯუმბლათის შეხვედრა, რომელზეც უნდა განეხილათ მოწინააღმდეგე მხარეთა შორის „მრგვალ მაგიდასთან“ მოლაპარაკების მომზადების კონკრეტული საკითხები. ჩადენილი დანაშაულებრივი აქციის შედეგად ეს შეხვედრა ჩაიშალა.

ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ი. სარკისმა გუშინდელი დღის განმავლობაში მოაწყო მთელი რიგი შეხვედრები მუსლიმანთა თემის წარმომადგენლებთან, რომელთა დრო განიხილეს ლიბანის კრიზისის პოლიტიკური გადაწყვეტისა და შესაძლო სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების გზები, რომლებიც ქვეყანაში უნდა განხორციელდეს.

ᲗᲕᲐᲚᲬᲐᲠᲛᲢᲐᲪᲘ ᲒᲖᲐ ᲑᲘᲗᲕᲘᲜᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲔᲐᲠᲗᲔᲑᲐ.
Ი. ᲞᲘᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲘᲛᲦᲚᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲘᲒᲕᲚᲔᲚᲝᲒᲐ

ნ. ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ-ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ დიდი წარმატებით გამოვიდა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ბ. კიკაბიძის ხელმძღვანელობით. კოლექტივს სანტერესო შეხვედრება ჰქონდა მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებსა და საწარმოებში, ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში...

მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში შეხვედრა მოუწყეს „ორერას“ სოლისტს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, ნინო ბრეგვაძეს. მომღერალი მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგა მაყურებელთა წინაშე; ქართული ხალხური სიმღერები, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები და რომანსები, საბჭოთა და რუს კომპოზიტორთა სიმღერები, ძველი რუსული რომანსები...

შეხვედრა-საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა ვ. დმიტრიევმა, რომელმაც, კეთილად, თქვა: ნინო ბრეგვაძე არა მარტო ქართული საესტრადო ხელოვნების ვარსკვლავია, არამედ მთელი საბჭოთა საესტრადო სამყაროს მშვენებაა...

უხუცესმა საბჭოთა კონფერანსიემ ა. ალექსეევმა გაიხსენა: სწორედ ამ დარბაზში 1968 წელს „ორერას“ გამოსვლის დროს, სცენაზე ავიდა სულ მთლად გათეთრებული ქალი, რომელსაც ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა. ეს იყო თამარ წერეთელი, ძველი რუსული რომანსის შესრულების ჯადოქარი, მან ყვავილები და თავისი ნოტები გადასცა ნ. ბრეგვაძეს და თვალცრემლიანი გადაეხვია...

შესვენების დროს სსრკ სახალხო არტისტმა ი. კოზლოვსკიმ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა:

ნინო ბრეგვაძის სიმღერის დროს მე თითქოს ვხედავ მშვენიერ საქართველოს, ვტკბები მისი პოეზიით, მუსიკით... რა საოცარი სულიერი სამყარო იგრძნობა ყოველი სიმღერის შესრულების დროს, რამდენი სითბოა, რამდენი გრაცია!.. სწორედ ეს არის ნამდვილი ხელოვნება.

როცა შეხვედრა-კონცერტი დამთავრდა, სცენაზე ავიდნენ ი. კოზლოვსკი, ს. ბონდარჩუკი, კ. სიმონოვი, მ. ხუციევი, ა. საფრონოვი... სცენა ყვავილებით აივსო...

კონცერტში მონაწილეობდნენ ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“ და კონცერტმეისტერი მ. ბოგლიანშვილი. საღამოს უძღვებოდა მ. თაბუკაშვილი.

Დ. ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
Ქ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

„ᲑᲣᲙᲘᲜᲘᲡᲢᲘ“—ᲛᲐᲮᲔᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მოსე თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო პროფესიულტექნიკურ სასწავლებელში მის გამოჩენას ყოველთვის მოუთმენლად ელოდნენ. მას პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის მოჰქონდა ხოლმე მოსკოვში, ლენინგრადში, პარიზში, მილანში, დრეზდენში, პრაღასა და მსოფლიოს სხვა ქალაქებში გამოცემული იშვიათი წიგნები.

„მოყვარული ბუკინისტის“ საგანძურის შესახებ შორს გავარდნილმა სახელმა საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის მუშაკთა ყურამდეც მიაღწია, რომლებიც მოსახლეობიდან იშვიათ წიგნებს ყიდულობენ სამბეღლიოთეკო ფონდების შესავსებად. როგორ გაოცდნენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები, როცა „ბუკინისტისაგან“ ნაყიდ წიგნებზე ნახეს თავიანთი ბიბლიოთეკის შტამპები, ნომრები და ინდექსები!... თურმე წიგნები მოპარული ყოფილა აკოფიანის ქუჩაზე მდებარე ძველი ეკლესიიდან, რომელიც ბიბლიოთეკის წიგნსაცავად არის გამოყენებული. სასწრაფოდ მოეწყო ინვენტარიზაცია, რომლის შედეგად ფონდს აკლდა 1965 მანეთის 172 წიგნი.

მალე მილიციის მუშაკებმა დააკავეს „ბუკინისტი“, იგი აღმოჩნდა ვინმე ლუდვიგ ასლანიანი, წარსულში ქურდობისათვის, ხუთიგნობისა და სხვა დანაშაულისათვის ორჯერ ნასამართლევი. ხუთი თვის განმავლობაში იგი იპარებოდა წიგნსაცავში სახურავიდან და იქიდან ძვირფასი წიგნები გამოაქონდა. კვალი რომ დაეფარა, სპეციალური ხსნარით შლიდა ბიბლიოთეკის შტამპს და ამოხვევდა ხოლმე თავფურცლებს. მაგრამ სიჩქარის გამო ზოგჯერ ვერ ამჩნევდა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში წიგნში რჩებოდა სხვადასხვა ნიშანი, რომლებიც ადასტურებენ, რომ ისინი ბიბლიოთეკას ეკუთვნიან.

კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ ვ. ყვანიას თავმჯდომარეობით სისხლის სამართლის საქმე განიხილა გამსვლელ სასამართლო სხდომაზე საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში და ლ. ასლანიანს მიუსაჯა ხუთი წლის პატიმრობა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდით. მასვე დაკისრა ბიბლიოთეკიდან მოპარული წიგნების ღირებულების გადახდა.

(საქინფორმი).

1 ᲕᲐᲠᲡᲐᲕᲚᲘ

ᲛᲐᲙᲚᲔᲓᲘ

ᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘ, ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲔᲑᲘ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲕᲐᲟᲗᲐ ᲩᲘᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲝᲠᲘᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲘᲓᲘᲗᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘᲐ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲨᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲘᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲓᲐᲖᲔ ᲔᲚᲕᲘᲡᲑᲣᲠᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲯᲨᲘ, ᲣᲑᲘᲚᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲩᲘᲤᲝᲠᲩᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲜᲘᲜᲗᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲢᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲢᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲠᲑᲔᲑᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲘᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲓᲐᲖᲔ ᲔᲚᲕᲘᲡᲑᲣᲠᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲯᲨᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲨᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲘᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲓᲐᲖᲔ ᲔᲚᲕᲘᲡᲑᲣᲠᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲯᲨᲘ ᲯᲐᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲜᲘᲜᲗᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲢᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲠᲑᲔᲑᲘ. ᲓᲐᲡᲐᲠᲘᲜᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲗᲘ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲢᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲠᲑᲔᲑᲘ — 5, ᲪᲘᲢᲝᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ — 4,5, ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ — ᲗᲝᲗ-ᲗᲝᲗᲘᲡ ᲥᲣᲚᲐ.

Გ. ᲑᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲞᲚᲝᲕᲓᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ტურნირ „პლოვდივ-76“-ის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა.

მეათე ტურში ოსტატმა თამარ ხუგაშვილმა შაევებით მოუგო დობრევას (ბულგარეთი), გაამარჯვეს აგრეთვე მისმა ძირითადმა მეტოქეებმა პიჰაილიჩმა (იუგოსლავია) და ბორისოვამ (ბულგარეთი). მეთერთმეტე ტურში ხუგაშვილმა თეთრებით გადადო პარტია ნოვაკოვიჩთან (იუგოსლავია). პიჰაილიჩმა და ბორისოვამ კვლავ გაიმარჯვეს.

11 ტურის შემდეგ 8,5 ქულით და ერთი გადადებული პარტიით პირველ ადგილზეა ოსტატი ხუგაშვილი. 8,5 ქულა მოაგროვეს საერთაშორისო ოსტატებმა პიჰაილიჩმა და ბორისოვამ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗ. გაიმართა მეორე ლიგის პირველი ზონის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. ეი როგორ ითამაშეს ამ ტურში ჩვენი რესპუბლიკის გუნდებმა: ლანჩხუთის „ბურია“ — ბათუმის „დინამო“ — 0:0; სამტრედიის „ლოკომოტივი“ — კიროვაბადის „პროგრესი“ — 0:1; ჭიათურის „მაღაროელი“ — რუსთავის „მეტალურგი“ — 2:0; გორის „დინამო“ — ლენინაკანის „შირაქი“ — 2:0.

ᲡᲮᲝᲚᲐ. სოხუმში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება ტყვიის სროლაში გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის“ პრიზზე. პისტოლეტიდან სროლაში კვლავ კარგად ითამაშა ქართველმა სპორტსმენმა — სსრ კავშირის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა მარლენ პაპავამ. მან 600 შესაძლებლიდან 566 ქულა მოაგროვა. ასეთივე შედეგი ჰქონდა გ. ოსიხსაც. ამ დუეტს ერთი ქულით ჩამოსწორა ი. რამენსკომ და პრიზიც დაიმსახურა.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Დ. ᲛᲔᲯᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

31 ᲛᲐᲘᲡᲘ

10.30 — შეულტაბლიაციური ფილმების პროგრამა — „სპილოს ოცნება ჰქონდა“ და „მშვენიერი ზანზალაკი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — უფროსკლასელთათვის — „ჩვენი გატაცების სამყარო“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.00 — „კინომოგზაურთა კლუბი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.05 — სტუდენტთათვის — ზოგადი ფიზიკა,
17.35 — „ცეროდენას ეკრანი“,
18.05 — განცხადებები,
18.10 — მოსწავლეთათვის „შეხვედრა საინტერესო ადამიანთან“,
18.45 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა,
19.05 — კინონარკვევი — „იენობდეთ, ქალაქი ხარკოვი,
19.15 — „ოქროპირი“ — სატელევიზიო ჟურნალი,
20.00 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.45 — ნახატი ფილმი — „იუმორესკა № 1“,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — მხატვრული პროგრამა,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „მუსიკის სამყაროში“ — სატელევიზიო მიმოხილვა. ფერადი გადმოცემა მოსკოვიდან),
19.50 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბავშვები“,
20.25 — „განვაზორციელოთ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი“ — ენერგეტიკის მშენებლებს ეხმიანებიან ჩქარებული ტემპით (გადმოცემა ნეიორებით),
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — „უყრავს მანანა დოინჯშემოდებული“. ფერადი გამოსახულებით,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — სპორტული პროგრამა: 1. „სპორტული მიმოხილვა“. 2. სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში (ვიდეოჩანაწერი).

3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

10.30 — „მზიარული ნოტები“ — ბავშვთა სატელევიზიო კონკურსი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.30 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მუდმივი ძახილი“ I სერია. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.35 — დოკუმენტური ფილმი „ათი წლის შემდეგ ანუ მეათე კლასელთა იმედები“ და განცხადები“,
17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — სსრ კავშირის ისტორია,
18.25 — განცხადებები,
18.30 — მოსწავლეთათვის „შენ — ვლადიმერ უბილავა,
19.50 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბავშვები“,
20.25 — „განვაზორციელოთ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი“ — ენერგეტიკის მშენებლებს ეხმიანებიან ჩქარებული ტემპით (გადმოცემა ნეიორებით),
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — „ზოგადი ფიზიკა,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ბავშვობა“ — ფერადი გამოსახულებით. დასასრული ახალი ამბები.

1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა „დიდა მშვიდობისა“; „ჩვენი ბაღი“; „ექსპრომტი“,
11.20 — მხატვრული ფილმი „ლუბავინების აღსასრული“ (ქართული ენაზე),
17.00 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა — „ბავშვი რომ ჯანმრთელი იყოს“,
18.00 — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გადაცემა. ფერადი გამოსახულებით,
19.00 — „ეროვნული ხალხის ხელოვნება“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
19.15 — „ოქროპირი“ — სატელევიზიო ჟურნალი,
20.00 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.45 — ნახატი ფილმი — „იუმორესკა № 1“,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — მხატვრული პროგრამა,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „მუსიკის სამყაროში“ — სატელევიზიო მიმოხილვა. ფერადი გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „ეროვნული ხალხური ხელოვნება“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.30 — „ბავშვობა“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.30 — „ბავშვობა“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.20 — „შეეცადეთ ქართული ენა“,
13.50 — კინონარკვევი „შვიდობის ჯარისკაცი“,
14.10 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა,
14.55 — საესტრადო კონცერტი. სტუდიაშია ანსამბლი „დოლური“. ფერადი გამოსახულებით,
15.35 — „ინდოელი ხალხის ხელოვნება“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
15.55 — სტუდენტთათვის — უმაღლესი მათემატიკა,
16.45 — „გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის“,
17.30 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
18.00 — „ცხოველთა სამყარო“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
19.00 — „საზოგადოება და დანაშაული“,
19.55 — „სახლი ტაბიძის ეზოზე“,
20.30 — „მომამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.55 — ქართული სატელევიზიო მოკუმეტრაჟიანი ფილმების პროგრამა: 1. „შაბათი საღამო“, 2. „თერმომეტრი“, 3. „ხალმი მანეთი“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — სსრ კავშირის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის დიდი აკადემიური თეატრის 200 წლისთავისადმი. გადაცემა კრემლის კონცერტთა სასახლიდან. ფერადი გამოსახულებით.

2 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

10.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „ჩექმებიანი კატა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.50 — „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ლენინგრადიდან),
11.35 — „კონცერტი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის მ. ბიეშუს მონაწილეობით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.35 — მხატვრული ფილმი